სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის:

„თანამედროვე განვითარების ეკონომიკური,
სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“-ს შემსწავლელი

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში, ტექსტის მიხედვით - უნივერსიტეტი) „ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა“ ფაკულტეტის (შემდგომში, ტექსტის მიხედვით - ფაკულტეტი) სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდეგში - ცენტრი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა“ ფაკულტეტის (შემდეგში „ფაკულტეტი“) სტრუქტურული ერთეული.

1.2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, ფაკულტეტის დებულებითა და ამ დებულებით.

1.3. ცენტრის დებულების პროექტს განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 2. ცენტრის მიზანი:

2.1. ფაკულტეტის სამეცნირო-კვლევითი პროფილის ფორმირების ხელშეწყობა და გაღრმავება: შესაბამისი ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების განხორციელების, მათი საერთაშორისო მოთხოვნებთან დაახლოების ზრდის ხელშეწყობა;

2.2. ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის სრულყოფა-განვითარებაში მონაწილეობა;

2.3. აკადემიური პერსონალის კვლევითი ინტერესების შესახებ ინფორმაციისა და სამეცნიერო აქტივობების კონცენტრირება; ინტერ და მულტიდისციპლინური კვლევების გააქტიურება;

აკადემიური წრის სხვა წარმომადგენლებთან უკეთესი ურთიერთკავშირის სტიმულირება და კვლევებში უცხოელი მეცნიერების ჩართულობის ზრდა;

2.4. სტუდენტებში მეცნიერების პოპულარიზაცია და სამეცნიერო-კვლევის ინტერესის გაღვივება; მოტივაციის ამაღლება; კვლევით პროექტებში მათი ჩართულობის და შესაბამისი უნარების ჩამოყალიბება/განვითარების ხელშეწყობა;

2.5. კვლევითი პროექტების შემუშავება წინასწარ შეთანხმებული მიმართულებით; კონფერენციების, სემინარების და ვორგშოპის ორგანიზება, ფაკულტეტის დოქტორანტთა და მაგისტრანტთა ინტერდისციპლინურ კლასტერთან თანამშრომლობით;

2.6. კონფერენციის შრომათა კრებულის და ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის გამოცემის ორგანიზება;

2.7. კვლევის პროდუქტის სასწავლო პროცესში მაქსიმალური ინტეგრირების მხარდაჭერა;

მუხლი 3. ცენტრის უფლებამოსილება.

ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით, ცენტრს უფლება აქვს განახორციელოს:

3.1. ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევები;

3.2. საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.3. კონფერენციებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება; სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებულის და/ან საფაკულტეტო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრად და/ან რეცენზენტად ცნობადი მეცნიერების და/ან პრაქტიკოსების მოწვევა;

3.4. საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა და მათ მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა;

3.5. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე, სტუდენტთა მიერ კვლევითი ხასიათის ნაშრომების შესრულებაში მონაწილეობა;

3.6. ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების ფარგლებში კვლევითი პრიორიტეტების შემუშავებაში მონაწილეობა;

3.7. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის პროცედურული საკითხების ორგანიზება;

3.8. საუნივერსიტეტო სტუდენტთა კონფერენციისათვის სტუდენტთა მომზადების პროცესის წარმართვა;

3.9. სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში;

3.10. კომპეტენციის ფარგლებში, კონკრეტული კვლევით დაინტერესებული აკადემიური პერსონალის და/ან სტუდენტ(ებ)ის კონსულტაციის გაწევა;

მუხლი 4. ცენტრის მართვის ორგანოები, სტრუქტურა და პერსონალი.

4.1. ცენტრის მართვას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო.

4.2. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

4.3. ცენტრის პრიორიტეტებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით. პრიორიტეტების შერჩევას ფაკულტეტის საბჭო ახდენს წარმოდგენილი პროექტების განხილვისა და დამტკიცების შედეგად.

4.4. ფაკულტეტის საბჭოს უფლება აქვს, პრიორიტეტების გამოკვეთისა და პროექტების შერჩევის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ჩართოს შესაბამისი დარგის აღიარებული/მაღალკვალიფიციური ექსპერტ(ებ)ი;

4.5. გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად, ცენტრში შეიძლება გაერთიანებული იყოს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები, რომელთა ჩამონათვალს, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით, ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან მიმართებით.

ფაკულტეტის საბჭო:

5.1. განიხილავს და განსაზღვრავს ცენტრის მართვისა და განვითარების საკითხებს;

5.2. ამტკიცებს ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით;

5.3. განიხილავს და ამტკიცებს ცენტრის საქმიანობის შედეგებს/ანგარიშებს/სამეცნიერო მოხსენებებს არანაკლებ წელიწადში ორჯერ;

5.4. ხელმძღვანელის წარდგინებით ან/და მისი მონაწილეობით განიხილავს სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების, საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის, სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში სტუდენტთა ჩართულობისა და მსგავს საკითხებს;

მუხლი 6. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი:

6.1. ხელმძღვანელობს ცენტრის საქმიანობას და უზრუნველყოფს მის ეფექტიანობას;

6.2. ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ცენტრის მიმართულების ხელმძღვანელების კანდიდატურებს;

6.3. ზედამხედველობს ცენტრის პერსონალის მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას;

6.4. ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის ბიუჯეტს;

6.5. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელად განიხილოს იმ პირის კანდიდატურაც, რომელიც არ არის აწსუ-ს თანამშრომელი. ამ შემთხვევაში, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს აწსუ-ს პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს.

მუხლი 7. ცენტრის პერსონალის უფლება-მოვალეობები

7.1. პერსონალს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო-კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და მათი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;

დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;

ე) განახორციელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

7.2. პერსონალი ვალდებულია:

ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით ან სხვა მომქმედი სამართლებრივი აქტებით და ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) წელიწადში ორჯერ წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში, დადგენილი წესით;

დ) შეასრულოს ცენტრის ხელმძღვანელის სხვადასხვა დავალებები, რაც არ ეწინააღმეგება მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს;

მუხლი 8. ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფა

8.1. ცენტრის ხარჯები განისაზღვრება ფაკულტეტის ბიუჯეტის მოცულობით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

8.2. ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება გახდეს:

ა) ფაკულტეტის საბჭოს მიერ ხარჯვითი ლიმიტის ფარგლებში აკუმულირებული თანხები;

ბ) მოპოვებული სამეცნიერო გრანტები;

გ) კვლევის შედეგების კომერციალიზაციით მიღებული თანხები;

დ) დახმარებები და სხვადასხვა სახის შემოწირულობები.

8.3. ცენტრის ფუნქციონირების პერიოდში შექმნილი ინტელექტუალური და მატერიალური ფასეულობები წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას.

9. **ცენტრის საქმიანობის შეფასება და მონიტორინგი**

9.1. ცენტრის საქმიანობას აფასებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური „სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის“ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

9.2. ცენტრის საქმიანობის შეფასების ანგარიშს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრის ხელმძღვანელი ან პერსონალი სათანადოდ ვერ ასრულებს ამ დებულებით განსაზღვრულ მოვალეობებსა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს, ფაკულტეტის საბჭო, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, დაკავებული თანამდებობიდან მათი ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და/ან ერთეულის რეორგანიზების შესახებ;

მუხლი 10. ცვლილებების შეტანის წესი

ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება გააჩნია უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.